



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030482292251416

№ 04-283/ო

02 / ივნისი / 2016 წ.

**„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის  
ზოგიერთი ქვეპროგრამის და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების  
მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრისა და მისი წარმოების  
წესის დამტკიცების თაობაზე**

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილების, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/5 ბრძანების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ (პროგრამის დანართი 1.1), „ბავშვთა ადრეული განვითარების“ (პროგრამის დანართი 1.2.), „დღის ცენტრების“ (პროგრამის დანართი 1.5.) „სათემო ორგანიზაციების“ (პროგრამის დანართი 1.12.) ქვეპროგრამების და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოთავსების მაძიებელთა ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზის წარმოების მიზნით, დამტკიცდეს:
  - ა) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“, „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამების და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრების წარმოების წესი (დანართი N1);
  - ბ) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრი (დანართი N2);
  - გ) „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამებში და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრი (დანართი N3);
  - დ) სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის (მაძიებლის) შეფასების ფორმა (დანართი N4).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 10 აპრილის N04-107/ო და 2015 წლის 27 აპრილის N 04-121/ო ბრძანებები.

3. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (მ. ბუჭუკური) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისთვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.
4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების დაგზავნა/გადაცემა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.
5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

**„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“, „ბავშვთა ადრეული განვითარების“, დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამებში და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრების წარმოების წესი**

**მუხლი 1.– ზოგადი დებულებები**

- 1.1. ეს წესი ადგენს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“, „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამების და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალებში - ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების (შემდგომში - **ქვეპროგრამები**) მომსახურების მსურველ პირთა (შემდგომში - **მაძიებლები**) ერთიან, ცენტრალიზებულ საინფორმაციო ბაზაში (შემდგომში - **რეესტრი**) ინფორმაციის შეტანის, მასში ცვლილებების განხორციელების ან/და რეესტრირებული ინფორმაციის რეესტრიდან ამოღების წესს.
- 1.2. რეესტრის წარმოების მიზანია ქვეპროგრამების მაძიებელთა შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია და საფუძვლის მომზადება, შესაბამის მომსახურებაში ჩასართავად.
- 1.3. რეესტრის წარმოების პროგრამული უზრუნველყოფისთვის, სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (შემდგომში - **ი.ტ. დეპარტამენტი**) ქმნის კომპიუტერულ პროგრამას - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მონაცემთა ინტერაქტიული ბაზა (შემდგომში - **ბაზა**), რომლის მომხმარებლები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - **სააგენტო**) მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველო (შემდგომში - **პროგრამების სამმართველო**), სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები და მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოები (შემდგომში - **საბჭო**).

**მუხლი 2. – ბაზის ადმინისტრირება და სარგებლობა**

- 2.1. ბაზის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველო, ი.ტ. დეპარტამენტის დახმარებით.
- 2.2. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების და სოციალური პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება ბაზაში ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა, კორექტირება ან/და ბაზიდან ამოღება, რისთვისაც პროგრამების სამმართველოს და ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ შესაბამისი წვდომა მათზე დელეგირებულ მონაცემებზე.
- 2.3. ბაზაში შეიტანება ინფორმაცია:
  - 2.3.1. „ქვეპროგრამების“ სამიზნე ჯგუფების, ბიუჯეტის, დაფინანსების პირობების და სხვა აუცილებელი პარამეტრების შესახებ;
  - 2.3.2. „ქვეპროგრამების“ ფარგლებში, შესაბამისი წესით რეესტრირებული მომსახურების მიმწოდებლების შესახებ (შემდგომში - **მომსახურების მიმწოდებლები**);
  - 2.3.3 ქვეპროგრამების მაძიებელთა შესახებ, რომლის საფუძველია მაძიებელთა, მაძიებელთა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება გადამოწმებას ან/და დაზუსტებას სააგენტოს მიერ.

**მუხლი 3. – ქვეპროგრამების მიმწოდებელთა შესახებ ბაზაში შესატანი ინფორმაცია, ქვეპროგრამების ფარგლებში, მომსახურებაში მოთავსების მსურველ პირთათვის**

- 3.1. პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება ბაზაში შემდეგი ინფორმაციის შეტანა:
  - 3.1.1 მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების სახელწოდება ქართულ ენაზე;
  - 3.1.2 მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი, მიმწოდებლის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ხელმძღვანელი და საკონტაქტო პირების სახელი, გვარი, ტელეფონი და ელექტრონული მისამართი;
  - 3.1.3 მიმწოდებლის მიერ შესაძლო ერთდროულად მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა ლიმიტი და რეესტრაციის ვადა;
  - 3.1.4 მიმწოდებლის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოცვის შესაძლებლობა;
- 3.2. პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება მიმწოდებლისთვის უნიკალური ოთხციფრა კოდის მინიჭება (ერთ ორგანიზაციაზე შესაძლებელია რამდენიმე კოდის მინიჭება მომსახურების მიწოდების ადგილის და ქვეპროგრამების შესაბამისად).

**მუხლი 4. – მაძიებელთა შესახებ რეესტრში შესატანი ინფორმაცია**

- 4.1. მაძიებელთა შესახებ ტერიტორიული ერთეულების მიერ მაძიებლის განაცხადის შეტანის და დოკუმენტაციის სრულყოფის შემდეგ რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:
  - 4.1.1. მაძიებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი, განცხადების და შესაბამისი სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღების თარიღი, ასევე შშმ სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში – სტატუსის ვადა და დიაგნოზი ფორმა №IV-100/ა-ის მიხედვით, ხოლო მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურების მისაღებად, დამატებით სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის – ფორმა №IV-50/2 -ის რეკომენდაცია;
  - 4.1.2. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის სარეიტინგო ქულა განცხადების წარდგენის დღისთვის;
  - 4.1.3. ინფორმაცია მაძიებლის წინა 12 თვეში მომსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად მომსახურებით სარგებლობის ვადისა);
  - 4.1.4. ინფორმაცია რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვების შესახებ;
  - 4.1.5. ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების (მათ შორის, ბავშვების) შესახებ;
  - 4.1.6. ინფორმაცია სამეურვეო/სამზრუნველო, მხარდაჭერის მიმღები პირის, მათი მეურვის/მზრუნველის და მხარდაჭერი პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - 4.1.7. „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამებში და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურების მაძიებლების შემთხვევაში, შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე იდენტიფიცირებული მუდმივი მოვლის/მეთვალყურეობის საჭიროების მქონე შშმ პირების, ასევე პირების შემთხვევაში, რომელთაც არ ჰყავთ შრომისუნარიანი შვილ(ებ)ი და/ან მეუღლე, რეესტრს დამატებით უნდა ერთვოდეს „სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის (მაძიებლის) შეფასების ფორმა“ (დანართი 4);
  - 4.1.8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლს N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გადაუდებელი წესით ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში, ასევე სათემო ორგანიზაციებში მოთავსების მიზნით, დოკუმენტაცია იგზავნება ცალკე;
  - 4.1.9. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების შესახებ, ამავე ქვეპროგრამის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვით და სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად, დამატებით შეიტანება ინფორმაცია:
    - 4.1.9.1 რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახი, თუ დახმარების შესახებ განცხადების გაკეთების დროისთვის რეინტეგრაციის განხორციელებიდან არ არის გასული 90 კალენდარული დღე;
    - 4.1.9.2 ინფორმაცია ოჯახის სრულწლოვანი წევრებისა და ბავშვების რაოდენობის შესახებ;
    - 4.1.9.3 ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების რაოდენობის შესახებ;
    - 4.1.9.4 გადაუდებელი საჭიროების ჩამონათვალი;
    - 4.1.9.5 ოჯახის თანხმობა პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით (დიახ/არა);
    - 4.1.9.6 დამატებითი ინფორმაცია (მიიღო თუ არა მომსახურება გასული 12 თვის მანძილზე, კერძო/სახელმწიფო ფართში უკანონოდ მყოფი ოჯახი, განსაკუთრებული ინფორმაცია).

**მუხლი 5. – ბაზასა და რეესტრში რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელება და რეესტრიდან ინფორმაციის ამოღება**

- 5.1. მიმწოდებლის შესახებ იმ გარემოებათა შეცვლისას, რაც საფუძველად დაედო ბაზაში ინფორმაციის შეტანას, უნდა განხორციელდეს ბაზაში შესაბამისი ცვლილებები;
- 5.2. მიმწოდებლის შესახებ ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ცვლილებას ახორციელებს პროგრამების სამმართველო, ამ წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად;
- 5.3. მაძიებლის შესახებ რეესტრში შეტანილი ინფორმაციის ცვლილებას ახორციელებენ ტერიტორიული ერთეულები, ამ წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკვე გამოტანლია გადაწყვეტილება მაძიებლის ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში, ინფორმაციის კორექტირებას ახორციელებს პროგრამების სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მაძიებელთან დაკავშირებულ მონაცემებში (მათ შორის, მისამართი და სხვა) ცვლილებები დაუყოვნებლივ უნდა აისახოს რეესტრში და ცვლილების შესახებ ეცნობოს პროგრამების სამმართველოს ხუთი სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს (დანართ 1.1-თვის);
- 5.4. ბაზაში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ან/და სამინისტროს და მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე, პროგრამების სამმართველო უფლებამოსილია მოახდინოს ბაზიდან მიმწოდებლის შესახებ შესაბამისი ჩანაწერის ამოღება/კორექტირება;

- 5.5. მაძიებლის/მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მომსახურების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ტერიტორიულმა ერთეულმა უნდა მოახდინოს ბაზიდან ინფორმაციის ამოღება/კორექტირება და მონაცემების კორექტირების შესახებ აცნობოს სამმართველოს.
- 5.6. მაძიებლის/მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მომსახურების შეცვლის სურვილის შემთხვევაში, ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 6. – მაძიებლისთვის რეგითობის განსაზღვრა**

- 6.1. ქვეპროგრამების რეესტრში ტერიტორიული ერთეულების მიერ სრულყოფილი ინფორმაციის შეტანის დადასტურების შემდგომ, მაძიებელი ითვლება რიგში ჩამდგარად;
- 6.2. რეგითობა განისაზღვრება სახელმწიფო პროგრამით და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე;
- 6.3. პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება რეესტრიდან ინფორმაციის ამოღება და დადარება ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან (ქვეპროგრამების ბიუჯეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სამიზნე ჯგუფების მიხედვით სახელმწიფო პროგრამით დაწესებული ერთდროულად მოქმედი ვაუჩერების ლიმიტები, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში დარეგისტრირებული მიმწოდებლების შესაძლებლობები და სხვა);
- 6.4. მაძიებლის შესაძლო ჩარიცხვასთან დაკავშირებით პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება ინფორმაციის გადაგზავნა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა. იმ შემთხვევაში, თუ გადაგზავნის ბოლო დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, ინფორმაციის გადმოგზავნა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 6.5. „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით განსაზღვრული გადაუდებელი წესით მაძიებლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით პროგრამების სამმართველოს მიერ ხდება ინფორმაციის გადაგზავნა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის, მაძიებლის საჭიროებიდან გამომდინარე, ნებისმიერ სამუშაო დღეს.
- 6.6. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ ხდება მაძიებლის შესახებ არსებული ინფორმაციის დაზუსტება და რეგიონულ საბჭოზე გატანის ორგანიზება.

#### **მუხლი 7. – გარდამავალი დებულებები**

- 7.1. ამ წესის ძალაში შესვლამდე არსებული მიმწოდებლების და მაძიებლების შესახებ პროგრამების სამმართველოში არსებული ინფორმაცია ითვლება ვალიდურად, ხოლო კორექტირება იგზავნება წინამდებარე წესის შესაბამისად.
- 7.2. ამ წესის ამოქმედებიდან ბაზის შექმნამდე, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები თვეში ერთხელ, ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოში აგზავნიან მაძიებელთა შესახებ ინფორმაციას თანდართული ფორმების შესაბამისად (დანართი N2, დანართი N3 და დანართი N4 Excel – ის ფორმატით) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) საშუალებით.

სერთიფორმაცია								
N	კომპონენტი	მაძიებლის მონაცემები (კვების ვაუჩერის კომპონენტისთვის, ვსებაზავების მონაცემები, ხოლოს აქონლის/მომსახურების შესყიდვა და გადაცემის კომპონენტისთვის განმცხადებლის პირადი მონაცემები)					მაძიებლის ფაქტი	
		ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი	გვარი	სახელი	პირადი ნომერი	დაბ. რიცხვი/თვე/წელი	რეგიონი	რაიონი, ქალაქი
N	1	2	3	4	5	6	7	8
1	კვების ვაუჩერით უზრუნველყოფის კომპონენტი							
2	საქონლის/მომსახურების შესყიდვა და გადაცემის კომპონენტი							







დამატებითი ინფორმაცია			
მიიღოთუ არადახმარებაოჯახ მაალნიშნ ულიპროგრამისფარგლებშიგასულწელს	კერძო/სახელმწიფოფართში უკანონო დმყოფიოჯახი	აუცილებელი, დამატებითი ინფორმაციაოჯახისშესახებ	ოჯახისთანხმობაპროგრამაში იჩარტვასთანდაკავშირებით (დიახ/არა)
27	28	29	30

„ბავშვთა ადრეული განვითარების“, დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეშ

N	მომსახურების სახე	მაძიებლის მონაცემები			
		გვარი	სახელი	პირადი ნომერი	დაბ. თარიღი (დ/თ/წ)
	I	II	III	IV	V
	ადრეული განვითარების ქვეპროგრამა				
	დღის ცენტრი – მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის				
	დღის ცენტრი – შშმ ბავშვებისთვის				
	დღის ცენტრი – 18 წლის და უფროსი ასაკის შშმ პირებისთვის				
	დღის ცენტრი – მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვებისთვის				
	პანსიონატი და სათემო ორგანიზაცია ხანდაზმულთათვის				
	პანსიონატი და სათემო ორგანიზაცია შშმ პირთათვის				

შენიშვნა : XV, XVI და XVII გრაფები ივსება, მხოლოდ სათემო ორგანიზაც

პროგრამებში და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოსაძიებელი რეესტრი

მაძიებლის ფაქტიური მისამართი			მაძიებლის პრიორიტეტულობა					
რეგიონი	რაიონი, ქალაქი	სოფელი/ქუჩა, ნომერი	სააგენტოსთვის მომართვის თარიღი (დდ/თთ/წწ)	ოჯახის სარეიტინგო ქულა სააგენტოში განცხადების წარდგენის დღისთვის	პრიორიტეტი (შესაძლო ვარიანტები: რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში და მინდობით აღზრდაში მყოფი, გასული 12 თვის მოსარგებლე და სხვა)	მომსახურების სასურველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (სახელმწიფო პროგრამის მიხედვით)	შშმ სტატუსის ვადა (არსებობის შემთხვევაში) და ან საპენიტენციო - სოციალური ექსპერტის რეკომენდაციის აქტის - ფორმა IV-50/2 - ის არსებობა საქართველოს შემთხვევაში.	დიაგნოზი (ფორმა 100-ის მიხედვით)
VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV

ვიაში, ხანდაზმულთა და შშმ პანსიონატებში ჩარიცხვის მსურველთა შემთხვევაში.



**სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის (მაძიებლის) შეფასების ფორმა**

აღნიშნული ფორმა იგეგმება მაძიებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მასთან და/ან ასევე სხვა ჩართულ პირთან ერთად და გამოიყენება ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრის მიხედვით ჩარიცხვის პრიორიტეტის განსაზღვრის მიზნით

**I ნაწილი**

**მაძიებლის პირადი ინფორმაცია**

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	დაბადები თარიღი	ფაქტობრივი მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მიერ დადგენილი უკუფიქსირება "უზღოვრება" ეწეროს: „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შედეგად დადგენილი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი _ I უკუფიქსირება	შნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი _ II უკუფიქსირება	ზომიერად გამოხატული შშმ პირი _ III უკუფიქსირება	ხანდაზმული	<b>დიაგნოზი (ICD 10 გადახედვით)</b>	

**დემოგრაფიული ნაწილი**

მაძიებლის შეფასების ფაქტობრივი ადგილსამყოფელი	საცხოვრებელი ადგილი (მისამართის მითითებით)	სამედიცინო დაწესებულება (მისამართის მითითებით)	სპეციალიზებული დაწესებულება (მისამართის მითითებით)	სხვა (მისამართის მითითებით)	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
შეფასების პროცესში ჩართული პირები	ნათესავი (ნათესაური კავშირი, სახელი გვარი)	მკურნალი ექიმი (სახელი გვარი)	მეზობელი (სახელი, გვარი)	სხვა პირები (სახელი, გვარი)		საკონტაქტო ტელეფონი (ჩართული პირის)

**ოჯახური მდგომარეობა**

	დაქორწინებული	განქორწინებული	ქვრივი	მარტოხელა	ვისთან/ვინ ცხოვრობს მასთან

**ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ**

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ხანდაზმული / შშმ	არასრულწლოვანი	ინფორმაციის წყარო	დამატებითი ინფორმაცია
მეუღლე						
შვილი						
შვილი						
შვილი						
დედა						
მამა						

**II ნაწილი**

**ინფორმაცია მუდმივი მოვლის/მეთვალყურეობის საჭიროების შესახებ (იგეგმება სოცმუშაკის დაკვირვების და/ან მიღებული ვალიდური ინფორმაციის საფუძველზე)**

უნარი	დაახ	არა	ინფორმაციის წყარო	შენიშვნები
1. შეუძლია კომუნიკაცია				
2. გადაადგილდება დახმარების გარეშე				
3. შეუძლია დამოუკიდებლად საკვების მიღება				
4. შეუძლია დამოუკიდებლად ექიმის დანიშნულების შესაბამისად წამლის მიღება				
5. შეუძლია დამოუკიდებლად ტანსაცმლის ჩაცმა-გახდა				
6. შეუძლია დამოუკიდებლად მოიწესრიგოს პირადი ჰიგიენა				

**III ნაწილი**

**დამატებითი ინფორმაცია (ივსება სოცმუშაკის დაკვირვების და/ან მიღებული ვალიდური ინფორმაციის საფუძველზე)**

უნარი	დიახ	არა	ინფორმაციის წყარო	შენიშვნები
1. შეუძლია საკუთარ თავზე ინფორმაციის მოწოდება				
2. შეუძლია დამოუკიდებლად დაიკმაყოფილოს ფიზიოლოგიური მოთხოვნები (ტულეტში შესვლა და გასუფთავება, დაბანა და ა.შ)				
3. შეუძლია ემოციების მართვა, თვითკონტროლი (აგრესიული ქცევისგან თავის შეკავება, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედებით, მაგ. დარბევა, შენიშვნა, არაკომფორტულ სკამზე ჯდომა, რიგში დგომა და ა. შ				
4. შეუძლია საკუთარი თავის ან სხვების დაზიანება (წინაპირობით ან წინაპირობის გარეშე საკუთარი თავის დაზიანება მაგ. თავის დარტყმა კედელზე, ხელების გაჭრა სხვადასხვა საგნით, ან სხვების დაზიანება ცემა ხელით /საგნების გამოყენებით, ხელისკვრა და ა. შ)				
5. შეუძლია პირად კეთილდღეობაზე, უსაფრთხოებაზე ზრუნვა (იჩენს სიფრთხილეს უცხო ადამიანებთან, ცეცხლთან, ელექტროენერგიასთან და ა. შ)				
6. შეუძლია თვითმომსახურება (მაგ. იცის საკუთარი ნივთების, საცხოვრებელი გარემოს მოვლა)				
7. განვითარებული აქვს წინასწარი პროფესიული უნარები (იცის სამზარეულოს, საოჯახო საქმიანობის და სხვა უნარჩვევები, მაგ. ამზადებს მარტივ საკვებს, ალაგებს მაგიდას, ასუფთავებს ოთახს და ა. შ)				
8. სად და ვისთან სურს ცხოვრება? შეუძლია თუ არა, სხვა ადამიანთან ერთად ერთი სვრცის გაზიარება (მისი აზრი მნიშვნელოვანია). ისწრაფვის თუ არა დამოუკიდებლობისკენ, აქვს სურვილი დასაქმების და სწავლის...				
9. ვინ ახორციელებს თქვენს დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საკვების მომზადება, ჰიგინური ნორმების დაცვა და სხვა)				
10. ხომ არ არის სახეზე მალადობის ნიშნები				

**სოციალური მუშაკის დასკვნა:**

<b>მამიებლის სახელი და გვარი</b>		<b>ხელისმოწერა</b>	
<b>შეფასების პროცესში ჩართული პირის სახელი და გვარი</b>		<b>ხელისმოწერა</b>	
<b>სოციალური მუშაკის სახელი და გვარი</b>		<b>ხელისმოწერა</b>	
<b>ტერიტორიული ერთეული</b>			
<b>შეფასების თარიღი</b>			

\* აღნიშნული ფორმა ივსება მამიებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მასთან და/ან ასევე სხვა ჩართულ პირთან ერთად და გამოიყენება ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მამიებლების რეესტრის მიხედვით ჩარიცხვის პრიორიტეტის განსაზღვრის მიზნით

\*\* ფორმის მეორე ნაწილში მითითებული 6 კითხვიდან მინიმუმ 2 კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მამიებელი მუდმივი მოვლის/მეთვალყურეობის საჭიროების მქონე პირად)

\*\*\* ფორმის მესამე ნაწილში მითითებული დამატებითი ინფორმაცია გამოიყენება სერვისის მომწოდებელთან გასაზიარებლად ან/და დაეხმარება სოცმუშაკს სხვა ალტერნატიულ პროგრამაში (არსებობის შემთხვევაში) ჩართვის რეკომენდაციის შესამუშავებლად